პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 135 (13827)

კვირა, 11 ივნისი, 1967 წ.

ფასი 2 კაპ.

**დღეს გაიხსნება საქართველოს IV საიუბილეო სპარტაკიადა**

**სალამი სპარტაკიადის მონაწილეებს!**

მოდიან ფიზკულტურელები... ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტებისა და მთავრობების

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**მიმდინარე** წლის 9 ივნისს მოსკოვში შეიკრიბნენ სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიებისა და მთავრობების ხელმძღვანელები: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისაგან ამხ. ტოდორ ჟივკოვი — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ამხ. ჟივკო ჟივკოვი — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე; უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისაგან ამხ. იანოშ კადარი — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ამხ. ენე ფოკი — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაგან ამხ. ვალტერ ულბრიხტი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, ამხ. ვილი შტოფი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ამხ. გერმან აქსენი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი; პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისაგან ამხ. ვლადისლავ გომულკა — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ამხ. იუზეფ ცისარკევიჩი — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; საბჭოთა კავშირისაგან ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ამხ. ა. ნ. კოსიგინი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ამხ. ნ. ვ. პოდგორნი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე; ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისაგან ამხ. ანტონინ ნოვოტნი — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ამხ. იოზეფ ლენარტი — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე; იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისაგან ამხ. იოსიპ ბროზ ტიტო — იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, ამხ. ვლადიმერ პოპოვიჩი — იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი.

შეკრებილთ განიხილეს ახლო აღმოსავლეთში ისრაელის აგრესიის გამო შექმნილი მდგომარეობა, რაც არაბთა სახელმწიფოების წინააღმდეგ გარკვეული იმპერიალისტური ძალების, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმების შედეგია. შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები იმ ღონისძიებათა თაობაზე, რომლებიც საჭიროა აგრესიის აღსაკვეთად და საყოველთაო მშვიდობის საქმისათვის მისი სანტერესო და მუშათა პარტიებისა და მთავრობების ხელმძღვანელები ვნუკოვოს აეროდრომზე გაიცალეს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, გ. ი. ჟორნოვმა, ა. ა. კირილენკომ, ა. ნ. კოსიგინმა, კ. ტ. მაზუროვმა, ა. ი. პელშემ, ნ. ვ. პოდგორნიმ, ა. ნ. შელეპინმა, პ. ნ. დემიჩევმა, ტიტეტის პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

## საბჭოთა მთავრობის ნოტა ისრაელის მთავრობას

**10 ივნისს** ისრაელის ელჩს სსრ კავშირში გადასცეს შემდეგი ნოტა საბჭოთა მთავრობისა ისრაელის მთავრობისადმი:

„ახლახან მიღებულია ცნობა, რომ ისრაელის ჯარები, რომლებიც უგულებელყოფენ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ, განაგრძობენ ამ მოქმედებას, იპყრობენ სირიის ტერიტორიას და წინ მიიწევენ დამასკოს მიმართულებით.

საბჭოთა მთავრობა აფრთხილებს ისრაელის მთავრობას, რომ ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა ვერაგობისათვის, უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებათა აღმაშფოთებელი დარღვევისათვის.

თუ ისრაელი დაუყოვნებლივ არ შეწყვეტს საომარ მოქმედებას, საბჭოთა კავშირი სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან ერთად გამოიყენებს ისრაელის მიმართ სანქციებს ყველა აქედან გამომდინარე შედეგით.

საბჭოთა მთავრობა აცხადებს: ის მაგ, რომ ისრაელი განაგრძობს აგრესიას არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ და უხეშად არღვევს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს, სსრ კავშირის მთავრობამ გადაწყვიტა გაწყვიტოს საბჭოთა კავშირის დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელთან.

## ᲐᲠᲐᲑᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲡ!

**ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ** ᲮᲐᲚᲮᲘ, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, დიდადაა აღშფოთებული ისრაელის აგრესიით არაბული ქვეყნების წინააღმდეგ. მრავალრიცხოვან მიტინგებზე რესპუბლიკის მშრომელები მხურვალედ იწონებენ საბჭოთა მთავრობის პოზიციებს ახლო აღმოსავლეთში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით.

### სირცხვილი ისრაელ აგრესორებს!

10 ივნისს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში გაიმართა ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგი ისრაელის დანაშაულებრივი აგრესიის წინააღმდეგ. საწარმოს პარტბიუროს მდივნის მოადგილემ ე. მიხეილაშვილმა მიტინგის გახსნისას თქვა, რომ საწარმოს კოლექტივმა მრისხანებისა და აღშფოთების გრძნობით შეიტყო აგრესიული მოქმედება ისრაელის მმართველი წრეებისა, რომლებმაც ომი დაიწყეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სხვა არაბული ქვეყნების წინააღმდეგ, და განაგრძობენ ამ ომს მიუხედავად უშიშროების საბჭოს გაფრთხილებისა.

მეხუთე საამქროს უფროსმა ზ. კურტანიძემ აღნიშნა, რომ საწარმოს მუშები და მოსამსახურეები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მხურვალედ იწონებენ სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტებისა და მთავრობების განცხადებას იმ მდგომარეობის თაობაზე, რომელიც ახლო აღმოსავლეთში შეიქმნა ისრაელის აგრესიის შედეგად.

მიღებულ რეზოლუციაში ფაბრიკის მუშა-მოსამსახურენი ისრაელის მთავრობისაგან მოითხოვენ სამხედრო კონფლიქტის აღმოსაფხვრელად დაუყოვნებლივ და უშინაგნოდ შეწყვიტონ საომარი მოქმედება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სხვა არაბული ქვეყნების წინააღმდეგ. (საქდესი).

### ᲫᲛᲣᲠᲘ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲐ

მშვიდობა ახლო აღმოსავლეთის ხალხებს! თქვენთან ვართ არაბული ქვეყნების ხალხებო! ასეთი სიტყვები ისმოდა გუშინ თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების მიტინგზე.

მიტინგი გახსნა პარტიული ბიუროს მდივანმა ფ. ილაშვილმა. სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიებისა და მთავრობების ხელმძღვანელებმა, რომლებიც 9 ივნისს მოსკოვში შეიკრიბნენ, თქვა ფ. ილაშვილმა, განიხილეს მდგომარეობა, რომელიც ახლო აღმოსავლეთში შეიქმნა ისრაელის აგრესიის შედეგად, რაც არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ გარკვეული იმპერიალისტური ძალების, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების შეთქმულების შედეგია. არაბული აღმოსავლეთის სახელმწიფოთათვის ამ განსაცდელის ჟამს სოციალისტური ქვეყნები აცხადებენ, რომ მოლიანად და სავსებით უშერან მხარს მათს სამართლიან ბრძოლას.

ჩვენი საწარმოს მუშაკები ერთსულოვნად უშერენ მხარს მოსკოვის შეხვედრის მონაწილე სახელმწიფოთა განცხადებას. ჩვენ ვაცხადებთ: არაბი ხალხები მარტონი არ არიან! სოციალისტური სახელმწიფოები ყოველი ღონისძიებით დაეხმარებიან არაბ ძმებს, რათა საკადრისი პასუხი გასცენ აგრესორს, დაიცვენ მათს კანონიერ უფლებებს.

სიტყვა ეძლევა კომუნისტური შრომის დამკვრელს მ. სიდომანიძეს. მან თქვა, რომ ჩვენმა მთავრობამ გამოხატა ყველა საბჭოთა ადამიანის ნება-სურვილი, როცა მიიღო გადაწყვეტილება გაწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელთან.

კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ნ. ხოსროშვილმა, კომუნისტური შრომის დამკვრელმა ქ. ჯიოშვილმა თქვეს, რომ ინტერნაციონალური მოვალეობისადმი ერთგული საბჭოთა ადამიანები სოლიდარობასა და სრულ მხარდაჭერას აღუთქვამენ არაბულ ქვეყნებს.

მიღებულ რეზოლუციაში მიტინგის მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ დაუყოვნებლივ შეწყვიტონ აგრესია და აღადგინონ მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში. (საქდესი).

### ᲐᲦᲐᲓᲒᲘᲜᲔᲗ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ!

სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა, გამართეს საპროტესტო მიტინგი ისრაელის დანაშაულებრივი აგრესიის წინააღმდეგ. ამ ორატორთა ყველა გამოსვლას წითელ ზოლად გასდევს აზრი: ახლო აღმოსავლეთში უნდა აღადგინონ მშვიდობა!

— არაბული სახელმწიფოების პოზიცია, — განაცხადა პირველი საამქროს დისპეტჩერმა ვ. მიხაილოვმა, გასაგებია ყველა საბჭოთა ადამიანისათვის, ჩვენი პლანეტის მთელი ანტიიმპერიალისტური ძალებისათვის, რომლებიც მას მხარს უჭერენ. საბჭოთა ადამიანები სრული სოლიდარობით ეკიდებიან არაბულ სახელმწიფოთა სამართლიან ბრძოლას და დაეხმარებიან მათ აგრესიის მოგერიებაში.

— ისრაელმა აგრესორებმა ვერაგულად ისარგებლეს იმით, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა დათანხმდა შეეწყვიტა ცეცხლი, — თქვა მუშა ა. ეგსიუტინმა, — ამ დროს აგრესორებმა გადააჯგუფეს თავიანთი ძალები და განაგრძეს აგაზაკური მოქმედება. მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ აგრესორებს შეაჩერებენ.

ოსტატმა გ. კანცანაკიანმა აღნიშნა ის დიდი ისტორიული გამარჯვებანი, რომლებიც ამ ბოლო წლებში მოიპოვეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სხვა არაბული ქვეყნების ხალხებმა.

### ᲐᲠᲐᲑᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲡ!

**ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ** ᲮᲐᲚᲮᲘ, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, დიდადაა აღშფოთებული ისრაელის აგრესიით არაბული ქვეყნების წინააღმდეგ. მრავალრიცხოვან მიტინგებზე რესპუბლიკის მშრომელები მხურვალედ იწონებენ საბჭოთა მთავრობის პოზიციებს ახლო აღმოსავლეთში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით.

### სირცხვილი ისრაელ აგრესორებს!

10 ივნისს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში გაიმართა ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგი ისრაელის დანაშაულებრივი აგრესიის წინააღმდეგ. საწარმოს პარტბიუროს მდივნის მოადგილემ ე. მიხეილაშვილმა მიტინგის გახსნისას თქვა, რომ საწარმოს კოლექტივმა მრისხანებისა და აღშფოთების გრძნობით შეიტყო აგრესიული მოქმედება ისრაელის მმართველი წრეებისა, რომლებმაც ომი დაიწყეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სხვა არაბული ქვეყნების წინააღმდეგ, და განაგრძობენ ამ ომს მიუხედავად უშიშროების საბჭოს გაფრთხილებისა.

მეხუთე საამქროს უფროსმა ზ. კურტანიძემ აღნიშნა, რომ საწარმოს მუშები და მოსამსახურეები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მხურვალედ იწონებენ სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტებისა და მთავრობების განცხადებას იმ მდგომარეობის თაობაზე, რომელიც ახლო აღმოსავლეთში შეიქმნა ისრაელის აგრესიის შედეგად.

მიღებულ რეზოლუციაში ფაბრიკის მუშა-მოსამსახურენი ისრაელის მთავრობისაგან მოითხოვენ სამხედრო კონფლიქტის აღმოსაფხვრელად დაუყოვნებლივ და უშინაგნოდ შეწყვიტონ საომარი მოქმედება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სხვა არაბული ქვეყნების წინააღმდეგ. (საქდესი).

### ᲩᲐᲕᲐᲥᲠᲝᲗ ᲝᲛᲘᲡ ᲮᲐᲜᲯᲐᲠᲘ

თბილისის მოდელის ფეხსაცმლის ფაბრიკის ათასზე მეტი მუშა და მოსამსახურე შეიკრიბა 10 ივნისს საპროტესტო მიტინგზე, ომის გამო, რომ ისრაელმა წამოიწყო აგრესია არაბული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ზედიზედ გამოდიან ცვლის უფროსი ბ. ჩქარეული, ოსტატები ს. ინასარიძე, გ. ქაჯილაშვილი, რ. ისრაელიანი, მუშა ნ. გლუხროვა. ისინი აღნიშნავენ, რომ ისრაელის აგრესიულმა მოქმედებამ შეაშფოთა მთელი მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობა. გულისწყრომით ვვმობთ ისრაელ აგრესორებს, განაცხადეს ორატორებმა. მოვითხოვთ, რომ ისრაელმა შეწყვიტოს ცეცხლი. დაზავების ხაზს იქით დასწიოს ჯარები არაბული ქვეყნების ტერიტორიიდან. (საქდესი).

### ᲫᲛᲣᲠᲘ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲐ

მშვიდობა ახლო აღმოსავლეთის ხალხებს! თქვენთან ვართ არაბული ქვეყნების ხალხებო! ასეთი სიტყვები ისმოდა გუშინ თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების მიტინგზე.

მიტინგი გახსნა პარტიული ბიუროს მდივანმა ფ. ილაშვილმა. სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიებისა და მთავრობების ხელმძღვანელებმა, რომლებიც 9 ივნისს მოსკოვში შეიკრიბნენ, თქვა ფ. ილაშვილმა, განიხილეს მდგომარეობა, რომელიც ახლო აღმოსავლეთში შეიქმნა ისრაელის აგრესიის შედეგად, რაც არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ გარკვეული იმპერიალისტური ძალების, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების შეთქმულების შედეგია. არაბული აღმოსავლეთის სახელმწიფოთათვის ამ განსაცდელის ჟამს სოციალისტური ქვეყნები აცხადებენ, რომ მოლიანად და სავსებით უშერენ მხარს მათს სამართლიან ბრძოლას.

ჩვენი საწარმოს მუშაკები ერთსულოვნად უშერენ მხარს მოსკოვის შეხვედრის მონაწილე სახელმწიფოთა განცხადებას. ჩვენ ვაცხადებთ: არაბი ხალხები მარტონი არ არიან! სოციალისტური სახელმწიფოები ყოველი ღონისძიებით დაეხმარებიან არაბ ძმებს, რათა საკადრისი პასუხი გასცენ აგრესორს, დაიცვენ მათს კანონიერ უფლებებს.

სიტყვა ეძლევა კომუნისტური შრომის

## გაემგზავრნენ სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიებისა და მთავრობების ხელმძღვანელები

**10 ივნისს** მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ტოდორ ჟივკოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ჟივკო ჟივკოვი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. იანოშ კადარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ენე ფოკი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვალტერ ულბრიხტი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვილი შტოფი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გერმან აქსენი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვლადისლავ გომულკა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. იუზეფ ცირანკევიჩი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ნიკოლაე ჩაუშესკუ, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომისა და მუდმივი პრეზიდიუმის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. იონ გეორგე მაურერი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ამხ. ანტონინ ნოვოტნი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ამხ. იოზეფ ლენარტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი ამხ. იოსიპ ბროზ ტიტო, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ამხ. ვლადიმირ პოპოვიჩი.

სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიებისა და მთავრობების ხელმძღვანელები ვნუკოვოს აეროდრომზე გაიცალეს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, გ. ი. ჟორნოვმა, ა. ა. კირილენკომ, ა. ნ. კოსიგინმა, კ. ტ. მაზუროვმა, ა. ი. პელშემ, ნ. ვ. პოდგორნიმ, ა. ნ. შელეპინმა, პ. ნ. დემიჩევმა, ტიტეტის პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

**დ. თ. უსტინოვმა, ი. ვ. ანდროპოვმა, ი. ვ. კაპიტონოვმა, ბ. ნ. პონომარიოვმა,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ამხ. ა. ა. გრომიკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ ამხ. კ. ვ. რუსაკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მინისტრმა ამხ. ა. ნ. ბელეტინოვმა, ამხ. ნ. ტ. ფედორენკომ, ამხ. ა. ნ. ტოლუბეევმა, ამხ. ნ. ტ. ფედორენკომ, ამხ. ნ. ტ

# ჯაჭვური ᲩᲐᲮᲝᲕᲚᲔᲑᲘ

## მზრუნველობით ვზარდოთ ახალგაზრდა კომუნისტები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ჩვენი ხალხის პოლიტიკური ხელმძღვანელია. იგი წარმატებით ასრულებს თავის ისტორიულ მისიას, რადგან მის რიგებში არიან საბჭოთა ქვეყნის მოწინავე ადამიანები, რომლებიც მაგალითს აძლევენ სხვებს, ყოველდღიურად და ყოველ უბანზე პარტიის იდეების გამტარებლები, მასების ორგანიზატორები არიან. კომუნისტური პარტია ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა თავისი რიგების შევსებას. XXIII ყრილობამ ხაზი გაუსვა ახალი გაზრდილი ამოცანების პირობებში პარტიის პირადი შემადგენლობისადმი მომთხოვნელობის კიდევ უფრო ამაღლების აუცილებლობას.

პარტიის რიგების სიწმინდისა, მისი ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და კომუნისტთა აღზრდისათვის ზრუნვა უწინარეს ყოვლისა აკისრიათ პირველად პარტორგანიზაციებს. ისინი ახორციელებენ სკკპ რიგებში მიღებას, აერთიანებენ კომუნისტებს პარტიის აქტიურ მებრძოლებად.

პარტიის მცხეთის რაიკომი, რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციები მუდმივ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ პარტიაში ახალ წევრთა მიღება ხელუწყობდეს მისი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, რომ პარტიის კარი ღია იყოს მხოლოდ ნამდვილად მოწინავე ადამიანებისათვის. ამ მიზნით ვამაღლებთ პარტიაში შემსვლელთადმი მომთხოვნელობას, ვუდგებით მათ ინდივიდუალური შერჩევის პრინციპით.

პარტიაში მიღების საკითხის გადაწყვეტისას ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია ადამიანის დამოკიდებულება შრომისადმი. სწორედ შრომითი მოღვაწეობა, უწინარეს ყოვლისა, ცხადყოფს, თუ როგორ იბრძვის ადამიანი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ასაშენებლად. მაგრამ პარტიაში შემსვლელს სხვა მოთხოვნებსაც ვუყენებთ. ვსწავლობთ, თუ როგორ მონაწილეობას იღებს იგი საზოგადოებრივ მუშაობაში, როგორ იქცევა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

შარშან პარტიის წევრობის კანდიდატად მივიღეთ 48 კაცი, მათ შორის 28 მუშა და 9 კოლმეურნე. ყველა ისინი ღირსეული, აქტიური, შეგნებული ადამიანები არიან. მიღებულთა თითქმის ნახევარს (23 კაცს) უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება აქვს. პირველადი პარტორგანიზაციები ჯერ-ჯერობით ყურადღებას უთმობენ პარტიაში კომკავშირელთა მიღებას. შარშან პარტიაში მიღებულთა 69 პროცენტს კომკავშირის რაიკომის რეკომენდაცია ჰქონდა. ანალოგიური მდგომარეობაა წელსაც.

პარტიაში მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის საქმეში პირველადს პარტორგანიზაციებს დიდ დახმარებას უწევს პარტიის რაიკომთან საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე პარტიაში მიღებისა და კომუნისტთა პერსონალური საქმეების განმხილველი კომისია, რომელსაც რაიკომის წევრი ა. ბურდული ხელმძღვანელობს. კომისიის წევრები წინასწარ ეცნობიან პარტიაში მისაღებ კანდიდატებს, სწავლობენ მათს საქმიანობას და პოლიტიკურ თვისებებს, გულდასმით ამოწმებენ პარტიაში მისაღებთა მასალების გაფორმების სისწორეს, უწევენ ინსტრუქტაჟს მათ სკკპ პროგრამისა და წესდების ცალკეულ საკითხებზე.

რაიონის პარტორგანიზაცია 1.932 კომუნისტს აერთიანებს. ამთაგან 300-ს სამი წლისა და უფრო ნაკლები პარტიული სტაჟი აქვს. ეს ახალგაზრდა კომუნისტთა ის რაზმია, რომელსაც ყოველდღიური დახმარება და მხარში ამოდგომა სჭირდება. მხედველობაში მაქვს ახალგაზრდა კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და პრაქტიკულ სამუშაოზე გამოწრთობისათვის ყოველდღიური ზრუნვა. ამიტომ პარტიის რაიკომი და პირველადი პარტორგანიზაციები თავიანთი მოღვაწეობის პრაქტიკაში სულ უფრო მეტად ნერგავენ ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის სხვადასხვა, ცხოვრებით ნაკარნახევ ფორმებს.

როცა ასე ვიქცევით, გამოვდივართ იმ ცნობილი ჭეშმარიტებიდან, რომ ახალგაზრდა კომუნისტის ფორმირება არ მთავრდება მისი პარტიაში მიღებით. მისი აღზრდა, მასში კომუნისტური იდეალებისა და ჩვევების გამომუშავება პარტიის რაიკომის, პირველადი ორგანიზაციების მოღვაწეობის მნიშვნელოვანი უბანია. პარტიის რაიკომი რეგულარულად სწავლობს პარტიაში მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის ცალკეულ საკითხებს, პირველადს პარტორგანიზაციებს ეხმარება ნაკლოვანებათა გამოვლინებისა და აღმოფხვრის საქმეში. გარდა ამისა, რაიკომის აპარატის მუშაკები ადგილებზე პრაქტიკულად ეხმარებიან და ხელმძღვანელობენ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს.

ამ რამდენიმე ხნის წინათ რაიონის 12 პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში შეიქმნა სკკპ პროგრამისა და წესდების შემსწავლელი ერთწლიანი სკოლები. პირველი შედეგები მეტად დამაკმაყოფილებელია. სკოლადამთავრებული ახალგაზრდა კომუნისტის ფორმირება ამ მთავრდება. ამ ასპექტით ეს ორ-სამ ბიურო. ახალგაზრდა კომუნისტთა ერთი ნაწილი წარმატებით ეწევა პროპაგანდისტის, ლექტორისა და პოლიტინფორმატორის საპატიო ვალს.

რაიონში 108 პირველადი პარტიული ორგანიზაციაა. ახორციელებენ რა პარტიის XXIII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, ისინი იბრძვიან წარმოებაში ახალგაზრდა კომუნისტების როლისა და ავტორიტეტის ასამაღლებლად, აუმჯობესებენ პარტიული ხელმძღვანელობის სტილსა და მეთოდებს.

რაიონში ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის გაუმჯობესების მიზნებისა ის ფაქტი, რომ უკანასკნელ პერიოდში ბევრი მათგანი არჩიულ იქნა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებად, მდივნების მოადგილეებად და ბიუროების წევრებად. სასიხარულოა, რომ ახალგაზრდა კომუნისტები ჩვენ პარტიის ცოდნას და პრაქტიკული საკითხების სწორად გადაჭრის უნარს ავლენენენ. ჩვენი მიზანია კიდევ უფრო გავაფართოოთ ასეთი სკოლების ქსელი.

პარტიის რიგების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისა და ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის საქმეში პირველადს პარტორგანიზაციებს კარგ დახმარებას უწევს პარტიის რაიკომთან შექმნილი ერთწლიანი სკოლა. სკოლაში პარტბიუროს მდივნები იმაღლებენ თეორიულ დონეს, ეცნობიან ორგანიზაციული მუშაობის სტილსა და მეთოდებს, ერთმანეთს უზიარებენ ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის გამოცდილებას.

ახალგაზრდა კომუნისტებისათვის რაიონში რეგულარულად ეწყობა თათბირსემინარები, ლექციები, მოხსენებები კომუნისტური პარტიის ისტორიის, სკკპ პროგრამისა და წესდების, პარტიული მუშაობის, მასების კომუნისტური აღზრდის ცალკეულ საკითხებზე.

ყველა ახალგაზრდა კომუნისტი პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის დასაწყისიდანვე იქნა ჩაბმული. მათი დიდი უმრავლესობა მაღალნაყოფიერად მუშაობდა წლის მანძილზე და იმაღლებდა იდეურ-პოლიტიკურ დონეს.

ახალგაზრდა კომუნისტთა ერთი ნაწილი წარმატებით ეწევა პროპაგანდისტის, ლექტორისა და პოლიტინფორმატორის საპატიო ვალს.

რაიონში 108 პირველადი პარტიული ორგანიზაციაა. ახორციელებენ რა პარტიის XXIII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, ისინი იბრძვიან წარმოებაში ახალგაზრდა კომუნისტების როლისა და ავტორიტეტის ასამაღლებლად, აუმჯობესებენ პარტიული ხელმძღვანელობის სტილსა და მეთოდებს.

რაიონში ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის გაუმჯობესების მიზნებისა ის ფაქტი, რომ უკანასკნელ პერიოდში ბევრი მათგანი არჩიულ იქნა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებად, მდივნების მოადგილეებად და ბიუროების წევრებად. სასიხარულოა, რომ ახალგაზრდა კომუნისტები ჩვენ პარტიის ცოდნას და პრაქტიკული საკითხების სწორად გადაჭრის უნარს ავლენენენ. ჩვენი მიზანია კიდევ უფრო გავაფართოოთ ასეთი სკოლების ქსელი.

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲚᲕᲐᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲣᲑᲐᲜᲘ

## ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲘᲐᲪᲘᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲡ 25 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

10 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ თბილისის გიორგი დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივმა აღნიშნა საწარმოს 25 წლის იუბილე. ქარხანაში დღლიდანვე დაიწყო ეძენა. საწარმოს კოლექტივს ესტუმრნენ მონაცთესავე ქარხნების წარმომადგენლები, თბილისისა და რუსთავის მშრომელთა წარმომადგენლები, მინისტრები, ქალაქისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული მუშაკები.

დილის 9 საათზე გაიხსნა საიუბილეო გამოფენა „ქარხანა 25 წლისაა". უამრავ სტენდსა და ფოტოგრაფიაზე გამოფენილია პროდუქცია, რაც კი ქარხანას გამოუშვია თავისი არსებობის წლებში.

ქარხნის კოლექტივი — ეს ფოტოსტენდებზე აისახა — მონაწილეობდა მეტრამოლიტენის სადგურების, თბილისის სპორტის სასახლის მშენებლობაში, მთელი რიგი ძეგლების ფეგებში, რომლებიც ჩვენს ქალაქს ამშვენებენ.

დილის 10 საათია. ცენტრალურ ხეიბანში შეიკრიბა საწარმოს ასობით მუშაკი გიორგი დიმიტროვის ბიუსტის სიზიმო გახსნაზე. ამ მოვლენისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა პარტიული კომიტეტის მდივანმა ნ. ცხაკაიამ.

ოფლუბი საბურველი ჩამოეხსნათ ბიუსტისთვის მიენიჭათ ქარხნის საუკეთესო ადამიანებს. — საწარმოს ვეტერანს, სკკპ წევრს 1918 წლიდან ვ. კოლბასინს, ზეინკალს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ნ. კოსტენკოს, ზეინკალს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ვ. ასათიანს, ხარატ ტ. როსტაშვილსა და კომკავშირელ ვ. ჩიბინინაზს.

შესრულდა ინტერნაციონალი. შეკრებილთა თვალწინ შავად მოლაპლაპე ლითონის კვარცხლბეკზე აღიმართა გიორგი დიმიტროვის ბიუსტი. ბიუსტის ავტორები არიან ქარხნის ინჟინრები გ. ბაბიანაშვილი და თ. ჯანიაშვილი.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს საამქროს უფროსმა ნ. გოლობოროდკომ, ზეინკალმა ვ. ასათიანმა, ინჟინერმა კ. მაიოროვამ, ზეინკალმა მ. როსტაშვილმა, პენსიონერმა მ. კოლბასინმა და სხვებმა.

შემდეგ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ქარხნის შრომითი დიდების მუზეუმი. მისი ექსპონატები ასახავენ ქარხნის მთელ ისტორიას, მის წარმატებებს შრომითს ფრონტზე. აქვეა მრავალრიცხოვანი სიგელები და პრიზები, რომლებიც მიიღეს სპორტში მიღწეული წარმატებებისათვის, თვითმოქმედების დათვალიერებებზე. ვ. ი. ლენინის ბარელიეფთან ალმართულია გარდამავალი წითელი დროშები, რომლებიც ქარხანას სამუდამოდ დარჩა.

ეი პირველი ჩანაწერი შრომითი დიდების მუზეუმის სტუმრების წიგნში: „თქვენი წამოწყება ძალიან კარგია. თქვენს მაგალითს მივბაძავთ". ეს ჩანაწერი ეკუთვნის ტამკენტის ჩკალოვის სახელობის საავიაციო ქარხნის წარმომადგენლებს.

შრომითი დიდების მუზეუმს თითქოს ავსებს ქარხნის მოწინავეთა ხეივანი. აქ ნახავთ საუკეთესოთა პორტრეტებს, როგორებიც არიან ბრიგადირი ს. კაკაბაძე, მოარავი ფ. ბარაბაშვი, ლაბორატორიის უფროსი ი. ჯაბადარი, ხარატები ნ. როვენკოვა და მ. ოვსეპიანი, შემდუღებელი ს. აროთნიოვი და სხვები.

დღის 12 საათზე ქარხნის კოლექტივს ესტუმრნენ ამხანაგები პ. ა. როდიონოვი, რ. ი. ფრუიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, გ. ს. ძოწენიძე, ო. ი. ლოლაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვეჭაძე, თბილისის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ე. ბუხრაშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ვ. ო. ღოღობერიძე.

ისინი ილაპარაკეს საიუბილეო ამბის გამო. ... ეკონომიკურ საქმეთა საქართველოს მი-ბაზიმი. საწარმოს კოლექტივს ესტუმრნენ ქარხნების წარმომადგენლები, თბილისისა და რუსთავის მშრომელთა წარმომადგენლები, მინისტრები, ქალაქისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული მუშაკები.

დილის 9 საათზე გაიხსნა საიუბილეო გამოფენა „ქარხანა 25 წლისაა". უამრავ სტენდსა და ფოტოგრაფიაზე გამოფენილია პროდუქცია, რაც კი ქარხანას გამოუშვია თავისი არსებობის წლებში.

ქარხნის კოლექტივი — ეს ფოტოსტენდებზე აისახა — მონაწილეობდა მეტრამოლიტენის სადგურების, თბილისის სპორტის სასახლის მშენებლობაში, მთელი რიგი ძეგლების ფეგებში, რომლებიც ჩვენს ქალაქს ამშვენებენ.

დილის 10 საათია. ცენტრალურ ხეიბანში შეიკრიბა საწარმოს ასობით მუშაკი გიორგი დიმიტროვის ბიუსტის სიზიმო გახსნაზე. ამ მოვლენისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა პარტიული კომიტეტის მდივანმა ნ. ცხაკაიამ.

ოფლუბი საბურველი ჩამოეხსნათ ბიუსტისთვის მიენიჭათ ქარხნის საუკეთესო ადამიანებს. — საწარმოს ვეტერანს, სკკპ წევრს 1918 წლიდან ვ. კოლბასინს, ზეინკალს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ნ. კოსტენკოს, ზეინკალს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ვ. ასათიანს, ხარატ ტ. როსტაშვილსა და კომკავშირელ ვ. ჩიბინინაზს.

შესრულდა ინტერნაციონალი. შეკრებილთა თვალწინ შავად მოლაპლაპე ლითონის კვარცხლბეკზე აღიმართა გიორგი დიმიტროვის ბიუსტი. ბიუსტის ავტორები არიან ქარხნის ინჟინრები გ. ბაბიანაშვილი და თ. ჯანიაშვილი.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს საამქროს უფროსმა ნ. გოლობოროდკომ, ზეინკალმა ვ. ასათიანმა, ინჟინერმა კ

# საერთაშორისო ხროვრაკა

## პატრიოტთა ნარმატებანი

**პანოი, 10 ივნისი. (საკდესი).** 1961 წლიდან 1967 წლის აპრილამდე სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიის მებრძოლებმა და პატრიოტებმა ჩამოაგდეს და აეროდრომებზე და ავიაბაზებში მოსპეს სხვადასხვა ტიპის 6.404 ამერიკული თვითმფრინავი, იუწყება ვიეტნამის სინფორმაციო სააგენტო.

ი როგორ ნაწილდება ამერიკის ავიაციის დანაკარგი წლების მიხედვით: 1961 წლიდან 1964 წლამდე — 1.616 თვითმფრინავი, 1965 წელს — 1.337 თვითმფრინავი, 1966 წლის იანვრიდან 1966 წლის სექტემბრამდე — 1.651 თვითმფრინავი, 1966 წლის ოქტომბრიდან 1967 წლის აპრილამდე — 1.800 თვითმფრინავი.

## ორი ტურის შემდეგ

**პარიზი, 10 ივნისი. (საკდესი).** პარიზში მიმდინარეობს მარგარეტა ლონგისა და ჟან ტიბოს სახელობის პიანისტთა და მეგიოლინეთა საერთაშორისო კონკურსი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ეწყობა.

ამ კვირაში გამოდიან მეგიოლინეები. ორი შესარჩევი ტურის შემდეგ, რომლებშიც ათი ქვეყნის 26 მეგიოლინე მონაწილეობდა, ბრძოლას განაგრძობს ექვსი ფინალისტი — საბჭოთა საგიოლინო სკოლის ორი წარმომადგენელი ანდრია კორსაკოვი და ნანა იაშვილი, ორი ფრანგი და ორიც იაპონელი მეგიოლინე. მომდევნო კვირაში დაიწყება პიანისტთა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 12 ქვეყნის 84 მუსიკოსი.

# უშიშროების საბჭოში

### კამათი ისრაელის აგრესიის გამო

**ნიუ-იორკი, 10 ივნისი. (საკდესი).** გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო გუშინ 19 საათსა და 25 წუთზე ნიუ-იორკის დროით კვლავ შეიკრიბა, რათა მოესმინა გენერალური მდივნის მოხსენება, თუ როგორ სრულდება საბჭოს რეზოლუცია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ თაბორმა (დანია) ეს სხდომა მოიწვია ერთი საათით გვიან, ვიდრე წინათ იყო დანიშნული. როგორც სხდომის დასაწყისში გამოირკვა, ეს დაყოვნება მოხდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის თხოვნით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა საბჭოს აცნობა, რომ, როგორც ისრაელის წარმომადგენელმა განაცხადა 18 საათსა და 05 წუთზე ნიუ-იორკის დროით, „ისრაელის მხარეს ცეცხლი შეწყვეტა. გარდა თავდაცვის შემთხვევებისა“.

სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა დეპეშაში, რომელიც უ ტანმა მიიღო 19 საათსა და 03 წუთზე, მოიყვანა მონაცემები, რომლებიც ცხადყოფენ ისრაელის განცადგებათა სიჯალბესა და თვალთმაქცობას ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალები ცეცხლს უშენენ და ჰაერიდან ბომბავენ სირიის დასახლებულ პუნქტებს. ისრაელის ვერტმფრინავებმა სირიის თავდაცვის ხაზს იქით გადასხეს დივერსიულ-სადესანტო ჯგუფები. გრძელდება ისრაელის უამრავი ტანკის კონცენტრაცია სირიის ტერიტორიაზე შემდგომი შეტევისათვის.

თავის გამოსვლაში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა მოჰამედ ელ-კუნმა, რომლის მოთხოვნით, რასაც მხარი დაუჭირა საბჭოთა დელეგაციამ, მოიწვიეს საღამოს საგანგებო სხდომა, განმარტა, რატომ აჭიანურებდნენ დროს ისრაელები ღა მისი მოკავშირეები.

ისრაელი აგრესორები ამ დროს არა მარტო წინ მიიწევდნენ სირიაში, თქვა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა, არამედ აგრეთვე, ვერაგულად დაარღვიეს რა რეზოლუცია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, დაბომბეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ბევრი მჭიდროდ დასახლებული ქალაქი, მან შორის არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დედაქალაქი. 20 საათიდან ადგილობრივი დროით ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალები მთელი საათის განმავლობაში ბომბავდნენ კაიროს, სალამოს 10 საათსა და 40 წუთზე მათ დაბომბეს ისმაილია.

უშიშროების საბჭოს რეზოლუციის ალმაფფოთებელი დარღვევის ფაქტებით ჩიხში მოქცეული ისრაელის წარმომადგენელი რაფაელი მაინც არ მოერიდა „უარეყო“ ეს ფაქტები. იგი ამტკიცებდა, თითქოს ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებს არ დაებომბათ კაირო, თუმცა ცნობები დაბომბვის შესახებ გამოაქვეყნეს ამერიკის საინფორმაციო სააგენტოებმაც კი.

მაროკოს წარმომადგენელმა ბენჰიმამ ხაზი გაუსვა, რომ უშიშროების საბჭომ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა შეასრულებინოს ისრაელს გადაწყვეტილება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ნ. ტ. ფედორენკო, რომელმაც აღნიშნა რომ, როგორც ეს ნათლად ჩანს გენერალური მდივნის მოხსენებიდან, ისრაელი განაგრძობს აგრესიას, ფეხქვეშ თელავს უშიშროების საბჭოს რეზოლუციასა და დღევანდელ მოწოდებას ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ, სპობს მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებს.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა მოითხოვა, რომ უშიშროების საბჭომ გადაუდებლად დაგმოს ისრაელის მთავრობის მოქმედება და გაიფრთხილოს იგი, რომ საბჭოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობას უაღრესად სერიოზული შედეგები მოჰყვება ისრაელის სახელმწიფოსათვის.

ნ. ტ. ფედორენკომ წაიკითხა შვიდი სოციალისტური სახელმწიფოს კომუნისტური და მუშათა პარტიებისა და მთავრობების ერთობლივი განცხადება, რომელიც შეიცავს უაღრესად მკაცრ გაფრთხილებას ისრაელი აგრესორების მიმართ.

იორდანიის დელეგატმა ელ-ფარამ მადლობა გადაუხადა სსრ კავშირის წარმომადგენელს ასეთი პოზიციისათვის. შეეხო რა გოლდბერგის (ამერიკის შეერთებული შტატები) განცხადებას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ნაკისრი აქვთ ვალდებულება „ახლო აღმოსავლეთის ყველა ქვეყნის მთლიანობა დაიცვანონ“, ელ-ფარამ თქვა: ისრაელმა აგრესორებმა ხელთ იგდეს ჩემი ქვეყნის ტერიტორიის ნახევარი და მოსპეს მისი თითსობით მცხოვრები, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებს სიტყვაც არ დაუძრავთ იორდანიის დასაცავად.

ელ-ფარამ ხაზი გაუსვა, რომ არაბთა ქვეყნები უშიშროების საბჭოსაგან მოითხოვენ დაგმოს აგრესია, გამოიტანოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ აგრესორმა გადაუდებლად გაიყვანოს ჯარები დაპყრობილი ტერიტორიებიდან.

რამდენჯერმე აიღო სიტყვა „პასუხისათვის“ ტელ-ავივის დელეგატმა, რომელიც ცდილობდა აგრესია სირიის არაბთა რესპუბლიკის წინააღმდეგ უმანკო „თავდაცვითს აქციად“ დაეხატა. სირიის წარმომადგენელმა ტომემ პასუხად მოიყვანა ამერიკის ცნობა ირუსალიმიდან, რომ ისრაელმა შეტევა დამასკოს წინააღმდეგ დაიწყო, რათა „დაემხო სირიის მეამრცხენე მთავრობა“.

მუსა ელო კეიტამ (მალი) ხაზი გაუსვა, რომ უშიშროების საბჭომ უნდა უზრუნველყოს შესრულება თავისი რეზოლუციისა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მან დაგმო ისრაელის აგრესია და მოითხოვა, რომ აგრესორმა დაუყოვნებლივ გაიყვანოს ჯარები.

ბულგარეთის წარმომადგენელმა მილკო ტარაბანოვმა აღნიშნა, რომ ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტა ახლა უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია. თუ უშიშროების საბჭომ, თქვა მან, არ გადაწყვიტა ეს საკითხი, თუ არ დაგმო ისრაელის ახალი აგრესია სირიის წინააღმდეგ ეს საფრთხეს შეუქმნის საყოველთაო მშვიდობას და არა მარტო ახლო აღმოსავლეთის რაიონის მშვიდობას, ცეცხლის შეწყვეტას დაუყოვნებლივ უნდა მოჰყვეს ისრაელის ჯარების გაყვანა დაპყრობილი ტერიტორიებიდან.

სამი საათის დისკუსიის შემდეგ სიტყვა კვლავ აიღო სირიის წარმომადგენელმა, რომელმაც საბჭოს აცნობა, რომ ისრაელის მექანიზებული ჯარები ისევ მიიწევენ დამასკოს მიმართულებით. მან სთხოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს დაუკავშირდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეებს სირიაში და დაავალოს მათ გეშმბაჯარონ საომარი მოქმედების რაიონში. რათა შეამოწმონ ამ ცნობების სისწორე.

გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ მისი შესაძლებლობანი ზუსტი ცნობების მიღებისა შეზღუდულია, რადგან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა შტაბი იერუსალიმში ხელში ჩაიგდეს ისრაელმა ჯარისკაცებმა.

ტომემ (სირია) განაცხადა, რომ ცნობების თანახმად, რომლებიც მას ეს�el არის მოუვიდნია სირიის საგარეო საქმეთა მინისტრისაგან, ისრაელის ჯარებმა დაიწყეს შეტევა მესედის წინააღმდეგ.

უშიშროების საბჭომ შეწყვეტა მუშაობა 10 ივნისის 10 საათსა და 30 წუთამდე ნიუ-იორკის დროით, როცა საბჭო კვლავ შეიკრიბება, რათა მოისმინოს გენერალური მდივნის მოხსენება (იგი ხლის შეწყვეტის რეზოლუციების შესრულების შესახებ.

**ნიუ-იორკი, 10 ივნისი.** (საკდესი). გუშინ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მოჰამედ ელ-კუნმა სსსრ-ისა ოფიციალურ მოქმედებაში ეჭვი შეიტანა. ამ ეჭვის საფუძველი ის გახდა, ბიძგი მისცა ახლად ფეხადგმული რუმინული მწერლობის მომძღვარებას, ამიტომ იგი სამართლიანად არის შესული რუმინული ლიტერატურის საგანძურში. ამით დაამსახურა მან რუმინელი ხალხის სიყვარული.

რუმინელი ხალხის დიდმა სიყვარულმა განაპირობა უცხოელის სწრაფი აღზრდება — „მესტამბე ანთიმი“ 1695 წლიდან სნაგოვის მონასტრის წინამძღვარი გახდა, 1705 წელს — რიმნიკის ეპისკოპოსი; ხოლო 1708-დან 1716 წლამდე რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური — ვალახიის მიტროპოლიტი.

ანთიმოზ ივერიელის დამსახურება საქართველოს წინაშე ჯერ-ჯერობით შეუსწავლელია. ქართველი მკვლევარები იმაზეც კი დავობენ, იცოდა თუ არა მშობლიური ენა ამ დიდმა ქართველმა, რომელიც სამშობლოს სიყვარულით მის მიერ გამოცემულ ყოველ წიგნს ხელს აწერდა „ანთიმ ივერიანუს“ („ანთიმოზ ქართველის“) სახელით. ქართველი მკვლევარები იმაზეც დავობენ, ანთიმოზმა დაბეჭდა თუ არა ქართული წიგნი რუმინეთში, თუმცა რუმინელი მკვლევარები ამ უკანასკნელ ხანსაც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ანთიმოზ ივერიელის „ამ დაუღალავი ოსტატის სტამბიდან გამოდიოდა წიგნები რუმინულ, ბერძნულ, სლავურ, არაბულ და ქართულ ენებზე“. ერთი რამ უდავოა — ანთიმოზს გარკვეული

# მსოფლიოს ყურადღების ცენტრში

### უცხოეთის გაზეთები სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალურ კომიტეტთა და მთავრობათა განცხადების შესახებ

**ნიუ-იორკი, 10 ივნისი.** (საკდესი). ამერიკის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალურ კომიტეტთა და მთავრობათა განცხადებას ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ პირველ გვერდზე მოათავსა განცხადების შინაარსი.

„კომუნისტური ბლოკის ლიდერებმა მოსკოვის შეხვედრაზე მიიღეს განცხადება არაბთა ქვეყნების მხარდასაჭერად. იგი მოითქოს, რომ ისრაელმა გაიყვანოს თავისი ჯარები არაბეთ-ისრაელის დაზავების ხაზს იქით“, — წერს გაზეთი.

„დღეს ვაშინგტონი შეფიქრიანა შვიდი კომუნისტური ქვეყნის ხელმძღვანელთა მოსკოვის განცხადებამ, რომ მზად არიან დაუჭირონ არაბთა ქვეყნებს, მტკიცე პასუხი მისცენ ისრაელს, თუ არ გაიყვანა თავისი ჯარები 1949 წლის დაზავების ხაზს იქით, აღნიშნავს „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიმომხილველი რესტონი.

იგი ხაზს უსვამს განცხადების იმ ადგილებს, სადაც ნათქვამია, რომ სოციალისტური სახელმწიფოები „ყოველ ღონეს იხმარენ, რათა დაეხმარონ არაბული ქვეყნების ხალხებს მტკიცე პასუხი გასცენ აგრესორს“.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ აგრეთვე ყურადღებას უთმობს განცხადების იმ ნაწილს, სადაც ნათქვამია, რომ ისრაელის აგრესია გარკვეული იმპერიალისტური ძალების, „უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმების შედეგია.

ბელგრადი, 10 ივნისი. (საკდესი). იუგოსლავიის პრესის ყურადღების ცენტრშია სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიებისა და მთავრობების ხელმძღვანელთა ბოლოდროინდელი ერთობლივი განცხადება. „ბორბა“ ამ ერთობლივ განცხადებას ასეთ სათაურს აძლევს: „ისრაელმა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა“, — ნათქვამია გაზეთ „ბორბის“ მსჯველი შრიფტით აწყობილ სათაურში. გაზეთი ქვესათაურში წერს: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოვალეობაა დაგმოს აგრესორი. თუ ისრაელის მთავრობამ არ შეწყვიტა აგრესია და არ გაიყვანა ჯარები დაზავების ხაზს იქით, სოციალისტური სახელმწიფოები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა დაეხმარონ არაბული ქვეყნების ხალხებს, რომ მტკიცე პასუხი გასცენ აგრესორს.

გაზეთი „პოლიტიკა“ განცხადებას ათავსებს დიდი სათაურით: „ისრაელმა უნდა შეწყვიტოს აგრესია და გაიყვანოს თავისი ჯარები არაბთა ტერიტორიიდან“.

თუ ისრაელმა არ შეასრულა ეს პირობები, სოციალისტური ქვეყნები დაეხმარებიან არაბ ხალხებს დაიცვან თავიანთი კანონიერი უფლებები, აღნიშნავს გაზეთი.

ცნობა მოსკოვის შეხვედრის შესახებ და განცხადება დღეს არაერთხელ გადასცა ბელგრადის რადიომ.

ბუდაპეშტი, 10 ივნისი. (საკდესი). ბუდაპეშტის გაზეთებმა პირველ გვერდზე გამოაქვეყნეს ცნობა სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების და მთავრობის ხელმძღვანელთა მოსკოვის შეხვედრის შესახებ და განცხადების ტექსტი. გაზეთი „მადიარ ნემზეტი“ საგარეოპოლიტიკურ კომენტარში აღნიშნავს, რომ განცხადებაში გამოთქმულია ერთიანი პოზიცია ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის გამო.

# სოლიდარობა არაბ ხალხთან

**დელი, 10 ივნისი.** (საკდესი). არაბულ ქვეყნებთან მეგობრობა ინდოეთის საგარეო პოლიტიკის მუდამ ძირითადი პრინციპი იყო, განაცხადა ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ჩაგლამ. ამჟამად ინდოეთის მთავრობის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ არ შეცვლილა, აღნიშნა მან, ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის საპარლამენტო ჯგუფის აღმასკომის სხდომაზე, რომელიც გაიმართა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ინდირა განდის თავმჯდომარეობით.

**კონაკარი, 10 ივნისი.** (საკდესი). „ისრაელს ყოველთვის იყენებდნენ აფრიკელი ხალხის წინააღმდეგ პირდაპირი თუ არაპირდაპირი აგრესიის იარაღად. ისრაელი არის საერთაშორისო იმპერიალიზმის პლაცდარმი, აგენტი, რომელსაც ავალებენ ბინძური სამუშაოს შესრულებას, რასაც იმპერიალიზმი უშუალოდ ვერ ჩოყიდებს ხელს“, — წერს გვინეის გაზეთი „ოროია“ სტატიაში „ფართო შეთქმულება აფრიკელი და არაბი ხალხების წინააღმდეგ“.

როგორც „ოროია“ აღნიშნავს, ისრაელი გარეულია გადატრიალებებში, რომლებიც ამ ბოლო დროს მოხდა აფრიკის ბოგიერთ ქვეყანაში.

გვინეა ურთიერთობას ვერ იქონიებს ისეთ სახელმწიფოსთან, რომელიც ფეხქვეშ თელავს საერთაშორისო მორალის ელემენტარულ პრინციპებს, აცხადებს „ოროია“.

**ულან-ბაბორი, 10 ივნისი.** (საკდესი). მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, იუწყება მონცამეს სააგენტო, მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ მხარს უჭერს სოციალისტური ქვეყნების კომენისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტებისა და მთავრობების განცხადებას. პლენუმი მიესალმება სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიებისა და მთავრობების ხელმძღვანელთა მოსკოვის შეხვედრას როგორც დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს ყველა მშვიდობისმოყვარე და პროგრესული ძალების ერთობლივ ღონისძიებებში, რომელთა მიზანია აგრესიის ალაგმვა და მშვიდობის დამყარება ახლო აღმოსავლეთში.

**დამასკო, 10 ივნისი.** (საკდესი). საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ დიდი კმაყოფილებთა და სიხარულით შეხვდნენ სირიის დედაქალაქში. დამასკოს რადიომ შეწყვეტა გადაცემები და სსსრ-ისა გამოშვებში გადასცა საკდესის ცნობა სათაურით „საბჭოთა კავშირმა ურთიერთობა გაწყვეტა ისრაელთან“.

## ისრაელის ქალაქობა

**ბეირუთი, 10 ივნისი.** (საკდესი). ისრაელის სამხედრო ხელისუფლებამ დაიწყეს მეკედრი არაბი მოსახლეობის გასახლება იორდანიის მათ მიერ დაპყრობილი რაიონებიდან, რომლებიც მდებარეობს მდინარე იორდანიის დასავლეთით, წერს ბეირუთის გაზეთი „ან-ნაჰარი“, რომელიც იმოწმებს ამბანდან მიღებულ ცნობებს.

„ან-ნაჰარის“ ცნობით, უკვე ოცდაათი ათასამდე კაცი — მამაკაცები, ქალები. და ბავშვები გადავიდნენ იორდანიის ჯარების განლაგების რაიონში. ისინი სანინელ მდგომარეობაში არიან — მშიერები, დაუძლურებულნი, გულგატეხილნი. ქალებს ხელით მოჰყავთ ბავშვები, მამაკაცებს მოაქვთ კალათები და ფუთები — ის მცირე ქონება, რომლის წამოღებაც მოასწრეს

როგორც ლტოლვილები აცხადებენ, წერს „ან-ნაჰარი“, ისრაელის სამხედრო ხელისუფალნი სასწრაფოდ ახორციელებენ „ადმინისტრაციულ გარდაქმნებს“ იორდანიის მათ მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

## პენტაგონის გადაწყვეტილება

**ვაშინგტონი, 10 ივნისი.** (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ აგვისტოში ამერიკის არმიაში გაიწვევენ 29 ათას ახალწვეულს. ასოშიეიტედ პრესის სააგენტო აღნიშნავს, რომ ეს არის ყველაზე დიდი გაწვევა წელს.

## სროლა კონგრესში

**რიო-დე-ჟანეირო, 10 ივნისი.** (საკდესი). ორმა ბრაზილიელმა დეპუტატმა დავა პისტოლეტებით დაამთავრა ეროვნული კონგრესის შენობაში. ჩხუბი იმის გამო დაიწყო, თუ ვინ ჩაუდგეს სათავეში ბრაზილიის წარმომადგენლობას საპარლამენტთაშორისო კავშირში, რომლის ადგილსამყოფელი ენენეასა.

ჯერ თითოეული მათგანი ცდილობდა „გაეშვებინა“ თავისი მოწინააღმდეგე კონგრესში, ბრალად სდებდა სახელმწიფო სახსრების დატაცებას საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს. შემდეგ საქმე პისტოლეტებამდე მივიდა. ოპოზიციის დეპუტატმა ნილსონ კარნეირომ ორი ტყვია დაახალა მეტოქეს, მთავრობის პარტიის წარმომადგენელს სოტო მაიორს.

# ფოტოკალეიდოსკოპი

ინგლისს ნისლისა და ნვიმების ქვეყანას უწოდებენ. მაგრამ ამ სურათის („მოთ მარცხნივ) მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უთუოდ სხვა აზრი შეგექმნებათ ალბიონის კუნძულზე. ეს ქალ-ვაჟი წუწობას როდი თამაშობს. მანჩესტერელი ქალიშვილი წყალგაუმტარი ლაბადის დემონსტრირებას ახდენს. ჩვენების ორგანიზატორებმა რამდენიმე დღეს ამოდ უცადეს წვიმას და იძულებული გახდნენ ვედრო წყლით დაკმაყოფილებულიყვნენ. ესეც თქვენი წვიმებიანი ინგლისის!

ამ ქვეყანაში კი მართლაც იშვიათია როგორც წვიმა, ისე საერთოდ წყალი. ამიტომ წყლის გამყიდველი ჩვეულებრივი ფიგურაა აზიისა და აფრიკის ცხელ ქვეყნებში. მაცოცხლებელი სითხით სავსე ტიკებით დადიან მეთულუხეები ქალაქად, სოფლად და ასე შოულობენ ლუკმაპურს. ქვემო მარცხენა სურათზე თქვენ ხედავთ მაროკოელ წყლის გამყიდველს.

**მკითხველო,** ყურადღებით თუ დააკვირდებით ამ სურათს (ქვემოთ მარჯვნივ), ადვილად მიხვდებით, რომ ეს კაცი ტყვედ არავის ნებდება. მან ფოტორეპორტიორის თხოვნით ასწია ხელები, რათა ყველანი დარწმუნდეთ, რომ თვითეულ ხელზე მას... ექვსი თითი აქვს. სხვათა შორის ექვს-ექვსი თითი აქვს ფეხებზეც.

ჯოზეფ მორგანი, შესაძლოა მსოფლიოში ერთადერთი ოცდაოთხთითიანი კაცი, ბელგიაში ცხოვრობს და პატარა ფაბრიკაში მუშაობს.

ფოტო პრეს ასოშიეიტედ-საკდესისა და კამერა პრეს-საკდესისა.

# მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში

**კაირო, 9 ივნისი.** (საკდესი). დღეს კაიროს რადიოთი სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა, რომელმაც განაცხადა, რომ „მთლიანად და საბოლოოდ გადაწყვიტა მოიხსნას ყველა ოფიციალური ფუნქცია, ხელი აიღოს ყოველ პოლიტიკურ საქმიანობაზე, დაბრუნდეს ხალხში, მასთან ერთად შეასრულოს თავისი მოვალეობა“.

პრეზიდენტმა ნასერმა განაცხადა, რომ კონსტატუციის დებულების შესაბამისად რესპუბლიკის პრეზიდენტის ფუნქციებს იკისრებს ვიცე-პრეზიდენტი ზაქარია მოჰი ედ-დინი. ამას იუწყება მენ-ის სააგენტო.

**კაირო, 9** ივნისი. (საკდესი). როგორც მენ-ის სააგენტო იუწყება, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პირველი ვიცე-პრეზიდენტი და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი მარშალი აბდელ ჰაკიმ ამერი გადადგა პოსტებიდან.

**დამასკო, 10 ივნისი.** (საკდესი). გუშინ ისრაელის ჯარები არღვევდნენ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს და ფაართო შეტევითს ოპერაციებს განაგრძობდნენ სირიის ჯარების წინააღმდეგ არტილერიის, ტანკებისა და ავიაციის მონაწილეობით.

**დამასკო, 9 ივნისი.** (საკდესი). სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნურედინ ატასიმ რადიოთი მიმართა ხალხს. მან სირიელ ხალხს მოუწოდა ამ განსაცდელის ჟამს მოიკრიბონ მთელი ძალღონე და ენერგია და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ აგრესიისაგან სამშობლოს დასაცავად.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, სირიამ განაცხადა, რომ თანახმაა შეწყვეტოს საომარი მოქმედება თუ ასევე მოიქცევა ისრაელის მხარეც. მიუხედავად იმისა, რომ სირია მზადაა შეასრულოს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება, ისრაელის მხედრიონნმა ახალი აგრესიული შეტევა წამოიწყო სირიის წინააღმდეგ.

რუზორს კი პრეზიდენტმა გ. ა. ნასერმა თავის სიტყვაში გამოაცხადა გადადგომა, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დედაქალაქში დაიწყო სახალხო გამოსვლები და დემონსტრაციები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს არაბთა სოციალისტური კავშირის ახალგაზრდობის ორგანიზაციის წევრებმა, სტუდენტებმა, პროფკავშირთა წევრებმა, მოსახლეობის სხვა ფენების წარმომადგენლებმა. როგორც დეპემთა სააგენტოები იუწყებიან, დემონსტრაციათა მონაწილეები აცხადებდნენ, რომ მხარს უჭერენ გ. ა. ნასერს. კაიროს რადიომ გამოაცხადა, რომ გაიმართება ეროვნული კრების სიგანგებო სხდომა. ყველა დეპუტატი უნდა მივიდეს პარლამენტის შენობაში.

(საკდესი — ფრანს პრესი-რეიტერი).

კაირო, 10 ივნისი. (საკდესი). 10 ივნისს 1 საათსა და 30 წუთზე კაიროს რადიომ გადასცა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნულმა კრებამ საგანგებო სხდომაზე, რომელმაც შუადამემდე გასტანა, მტკიცე უარი უთხრა პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერს გადადგომაზე. ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში, რომლითაც ეროვნულმა კრებამ მიმართა ნასერს, ნათქვამია: „თქვენ ჩვენი ბელადი, ჩვენი პრეზიდენტი ხართ და მანამდე იქნებით ჩვენი ბელადი და ჩვენი პრეზიდენტი, სანამ ვარსებობთ“.

კაირო, 10 ივნისი. (საკდესი). დღეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა ზაქარია მოჰი ედ-დინმა, რომელმაც რადიოთი მიმართა ხალხს, განაცხადა, რომ უარს ამბობს შეიკავოს გამალ აბდელ ნასერი პრეზიდენტის პოსტზე.

ზაქარია მოჰი ედ-დინმა, იუწყება მენის საააგენტო, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეგვიპტელ ხალხს პრეზიდენტი ნასერი არასოდეს არ სჯერდებოდა ისე, როგორც ახლა. „ახლანდელ ისტორიულ პირობებში, — თქვა მან, — განსაკუთრებით გვჭირდება კაცი, რომელიც 1952 წლიდან დღემდე მუშაობს ერს. ვერავითარი ბერული ძალები, ვერავითარი მარცხი ვერ შეუშლის ხელს ჩვენს ხალხს იაროს წინ ნასერის ხელმძღვანელობით“.

**კაირო, 10 ივნისი.** (საკდესი). პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა უარი თქვა განზრახვაზე გადადგარიყო და რჩება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე.

12 საათსა და 20 წუთზე კაიროს რადიომ ჩაირთო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნული კრების სხდომათა დარბაზი იმ მომენტში, როცა იქ ეს გადაწყვეტილება გამოაცხადეს.

ეროვნული კრების თავმჯდომარის ანვარ სადათის ამ ცნობას ეროვნული კრების წევრება მჭუხარე ტაშით და მისასალმებელი შეძახილებით შეხვდნენ.

პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერის წერილში, რომელიც ეროვნული კრების სხდომაზე ანვარ სადათმა წაიკითხა, ნათქვამია: „ხალხის ნებას ვერ გადავალ. სანამ სული მიდგას მას ვემსახურები. პოსტზე დავრჩები, სანამ არ აღმოვფხვრით აგრესიის ყველა შედეგს. ყოველივე, რაც მოხდა ჩვენთვის გაკვეთილი უნდა იყოს“.

შემდეგ ეროვნული კრების სხდომაზე მოკლე განცხადება გააკეთა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა სიდკი სულეიმანმა, რომელიც მიეცალა იმას, რომ გამალ აბდელ ნასერი დაუბრუნდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას.

**დამასკო, 10 ივნისი.** (საკდესი.). უშიშროების საბჭოს ყველა გადაწყვეტილებისა და სერიოზული გაფრთხილებების მიუხედავად, ისრაელი განაგრძობს აგრესიულ მოქმედებას სირიის წინააღმდეგ. დღეს დილით ისრაელის სარდლობამ ბრძოლაში ჩაება დიდძალი ტანკები, არტილერია, მოტორიზებული ჯარები და ავიაციის მასირებული თავდასხმების დახმარებით განავითარა შეტევა ქალაქ კუნეიტრაზე. გაფფთრებული ომი სისხლისმღვრელი ბრძოლებს შემდეგ ისრაელის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი კუნეიტრა, რომელიც მდებარეობს 55 კილომეტრზე დამასკოს სამხრეთ-დასავლეთით.

უკანასკნელი ცნობები ცხადყოფენ, რომ ისრაელის ჯარები განაგრძობენ დამასკოზე შეტევას ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. სირიის არმია, ნათქვამია კომუნიკეში, გმირულად განაგრძობს მოწინააღმდეგის შეტევების მოგერიებას და სასტიკ ბრძოლაში იცავს ყოველ მტკაველ მშობლიურ მიწას.

დღის 12 საათზე დამასკოს კვლავ თავს დაესხნენ ისრაელის თვითმფრინავები და დაიწყეს ქალაქის დაბომბვა.

**დამასკო, 10 ივნისი.** (საკდესი). ისრაელის თვითმფრინავები კვლავ თავს ესხმიან სირიის დედაქალაქსა და სხვა ქალაქებს. 13 საათზე მათ დაბომბეს დამასკოს ხუთი ობიექტი. სირიის სარდლობის მიერ გადმოცემული კომუნიკეს თანახმად, დამასკოში საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოაგდეს ისრაელის სამი თვითმფრინავი. ფრონტიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ გაფფთრებული ბრძოლები გრძელდება ქალაქ ელ-კუნეიტრის გარეუბნში.

# იურის კუნძულის ტრაგედია

**ლონდონი, 9 ივნისი.** (საკდესი). გაზეთი „ტაიმსი“ დღეს წერს იმ წერილების შესახებ, რომლებიც ფარულად გამოგზავნეს ეგეოსის ზღვაში მდებარე იურის კუნძულის საპრძანეთის საკონცენტრაციო ბანაკიდან. იქ სამხედრო ხუნტას ყავს 6.500 პოლიტიკური პატიმარი, აქედან 250 ქალი, რომელთა შორის ბევრი ჩაიყვანეს ბავშვებთან ერთად.

მეტი წილი პატიმრები შეყუჟული არიან კარვებში. გამუდმებული ქარი და ქვიშიანი მტვერი მოსვენებას არ აძლევს მათ. წყალი კუნძულზე ძლივს ჰყოფნით სასმელად, პატიმრებს არ შეუძლიათ ხელ-პირის დაბანა. ერთადერთი საკვებია პური და ქვიშით სავსე შეჭამანდი.

კიდევ უფრო საზარელია პატიმართა მდგომარეობა გადასაგზავნ ბანაკებში. ერთ-ერთ წერილში მოთხრობილია, თუ როგორ მოკლა უმიზეზოდ ოფიცერმა ერთ-ერთი პატიმარი. იუწყებიან აგრეთვე, რომ 30 კვადრატულ მეტრ ფართობის შენობაში 5 დღეს ჰყავდათ ასი კაცი.

გაზეთი წერს, რომ ამ საზარელმა ცნობებმა გააქტიურა ბერძენი პატრიოტების მომხრეთა საქმიანობა. საბერძნეთის დემოკრატიზაციისათვის ბრძოლის ლიგამ გამოაცხადა, რომ სახსრებს აგროვებს სეესათისა და ტანსაცმლის შესაყიდვისათვის, რაც ბერძენ პოლიტიკურ პატიმრებ

# გამარჯობა, სპარტაკიადავ!

## დღეს გაიხსნება საქართველოს IV საიუბილეო სპარტაკიადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიური ასპარეზობა ერთი ქვეყნის ფარგლებში — ასე უწოდებენ ჟურნალისტები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებს. და მართლაც, ჩვენი სპარტაკიადები თავიანთი წარმომადგენლობით, მასობრივობით და ბრძოლის მიმზიდველობით ბევრად როდი ჩამოუვარდებიან ოლიმპიურ ასპარეზობებს.

„სპარტაკიადა“ — ეს ლამაზი, ულერადი სიტყვა პირველად გაისმა 1924 წელს, როდესაც თვითმოქმედმა ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ „სპარტაკმა“ მასობრივი შეჯიბრებები მოაწყო პეტროგრადში. მას შემდეგ სპარტაკიადებმა დიდი პოპულარობა მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურელებს და სპორტსმენებს შორის.

თითქმის ოთხი ათეული წელი გავიდა იმ დროიდან, რაც მოსკოვში, წითელ მოედანზე გაიმართა პირველი საკავშირო სპარტაკიადის ბანერის ზეიმი.

შეჯიბრების ფინალურ ნაწილში მონაწილეობდა შვიდი ათასზე მეტი სპორტსმენი, ანუ ერთიორად ნაკლები, ვიდრე IX ოლიმპიურ ასპარეზობაზე, რომელიც ამსტერდამში გაიმართა.

1956 წელს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები წარმატებით გამოვიდნენ შორეულ ავსტრალიის მიწა-წყალზე გამართულ XVI ოლიმპიურ თამაშებში. ამ შეჯიბრებას წინ უძღოდა სსრ კავშირის ხალხთა ახალი, პირველი სპარტაკიადა. ეს იყო საბჭოთა ახალგაზრდობის დიდი შეჯიბრება სტადიონებზე და საცურავ აუზებში, კორტებსა და საფრაკიაო მოედნებზე. სულ სპარტაკიადის სტარტზე 23 მილიონი კაცი გამოვიდა.

საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ საბჭოთა სპორტსმენების ამ დიდ ფორუმზე მეხუთე სპარიზო ადგილი მოიპოვა, რასთვისაც დაჯილდოებულ იქნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი თასით.

სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადაზე ქართველმა სპორტსმენებმა კვლავ მიაღწიეს წარმატებას. ჩვენი რესპუბლიკის სპორტულმა დელეგაციამ მეორედ მოიპოვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი თასი.

ასევე კარგად გამოვიდნენ საქართველოს სპორტსმენები მესამე სპარტაკიადაზე. ჩვენმა კოლექტივმა ტრადიციული მეხუთე ადგილი დაისაკუთრა.

წელს, როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში გაიმართება სსრ კავშირის ხალხთა მეოთხე საიუბილეო სპარტაკიადა. საქართველოს სპორტსმენების ამოცანაა კვლავ ღირსეულად წარსდგნენ ამ დიდ ფორუმზე. აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ჩათვლიფარმოებს ფიზკულტურულ კოლექტივებს შორისაც. ამ მხრივ ჩვენ დიდ იმედს ვამყარებთ რესპუბლიკის სპორტულ კლუბებზე, პირველ რიგში კი თბილისის საქალაქო ტრანსპორტ-ს სამართველოს სასპორტო კლუბ „ინთალელზე“ (თავმჯდომარე მ. ჩიკვანიძე). ამ კლუბის წევრები წინა, მესამე სპარტაკიადაზე გამარჯვებული გამოვიდნენ მძლეოსნობასა და სპორტულ ტანვარჯიშში, ხოლო ცურვაში, ძალოსნობასა და ველოსპორტში მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს.

თუ როგორ ემზადებოდნენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები მოსკოვის სტარტებისათვის, რამდენად ნაყოფიერი და ეფექტური იყო მწვრთნელთა მუშაობა უკანასკნელი სპარტაკიადიდან განვლილი ოთხი წლის მანძილზე, გვიჩვენებს საქართველოს მეოთხე საიუბილეო სპარტაკიადა, რომლის საზეიმო გახსნა შედგება დღეს.

სწორედ დღეს აღწევს მაღალ ტემპს ჩვენი სპარტაკიადა. სპორტსმენთა დიდი ნაწილი დღეისათვის ჩამოვიდა თბილისში რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებიდან...

საქართველოს სპარტაკიადა მოსკოვის სპორტული ფორუმის გენერალურ რეპეტიციად უნდა ჩაითვალოს.

სპარტაკიადა მხოლოდ წელიწადნახევარი სპორტული სეზონის დიები მოვლენა როდია. ეს იქნება ანგარიში იმისა, თუ როგორ ხორციელდება პარტიისა და მთავრობის მითითებანი საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის გაკაჟების შესახებ, როგორ ყალიბდება ახალგაზრდობა, მზად არის თუ არა იგი შრომისა და სამშობლოს დაცვისათვის. აი რატომ არის, რომ სპარტაკიადისათვის მზადებამ, მისმა პირველმა ეტაპებმა, რომლებიც რაიონებისა და ქალაქების ფიზიკური კულტურის კოლექტივებში მოეწყო, ასეთი მასობრივი, დღემდე უმაგალითო გაქანება მიიღო.

ხალხის ჯანმრთელობისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის კიდევ ერთი მკაფიო მაგალითია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამასწინანდელი დადგენილება „ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ეს ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტები განსაზღვრავენ იმ გზებს, რომლებითაც უნდა ვითარდებოდეს მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მოძრაობა, სახავენ ახალ, სერიოზულ ამოცანებს.

მთელი ჩვენი ქვეყანა ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა ამ დადგენილებებს.

პარტიისა და მთავრობის აღნიშნულ გადაწყვეტილებათა განხორციელების მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება, რომელშიც მკაფიოდ არის დასახული რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი აღმავლობის გზები.

დღეს საქართველოში ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების რიცხვმა, რომლებიც რეგულარულად მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებაში — საწარმოო ტანვარჯიშსა და ჯანმრთელობის ჯგუფებში, მილიონს გადაჭარბა, მაშინ როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სპორტს სამასოდე კაცი მისდევდა.

საქართველოს სპორტსმენები არაერთხელ გამოსულან გამარჯვებულნი დიდ საერთაშორისო ასპარეზობებში — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, აგრეთვე საკავშირო შეჯიბრებებში. მარტო შარშან მათ 119 მედალი მოიპოვეს. არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ისეთი სახელმოხვეჭილი სპორტსმენები, როგორიც არიან ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია, დონარა ჯანუაშვილი და როზა ბერიაშვილი, ალექსანდრე მეტრეველი და ომარ ფხაკაძე, ზურაბ საკანდელიძე, გურამ სალარაძე, რომან რურუა და ანზორ კიკნაძე, მურთაზ ხურცილავა და სლავა მეტრეველი, ავერი მატკავა და ჯიმშერ ხოშებაია, ალექსანდრე ბუტკაევი და გორის კოლულიანი, იური დიაჩკოვი და ლიუდმილა იევლევა, ნუგზარ ასათიანი, გურამ კოსტავა და მრავალი სხვა.

აქ არ ჩამოთვლი ჩვენი სპორტსმენების სპორტულ მიღწევებსა და მარცხებს, ყოველივე ეს ჩვენი მკითხველებისათვის კარგად არის ცნობილი, ვიტყვი მხოლოდ, რომ ქართველი სპორტსმენები ოლიმპიურ ასპარეზობებზე უკეთ გამოვიდნენ, ვიდრე ბევრი ისეთი კაპიტალისტური ქვეყნის წარმომადგენლები, როგორიც არიან ავსტრია, თურქეთი, კანადა, ბელგია, მექსიკა, არგენტინა, ესპანეთი, ირანი და სხვ.

საქართველოს სპორტსმენებს ახლა დიდი ურთიერთობა აქვთ მსოფლიოს ბევრ ქვეყანასთან. ყოველწლიურად ვაწყობთ მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებას. მაგალითად, შარშან საზღვარგარეთის 89 სპორტული დელეგაცია მივიღეთ. ჩვენთან სტუმრად იყვნენ ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, იუგოსლავიის, კუბის, ირანის, დანიის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

ჩვენს გუნდებს დამჯერებელი გამარჯვებები აქვთ მოპოვებული მეტ წილ საერთაშორისო შეხვედრებში. გარდა ამისა, სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შემადგენლობაში საზღვარგარეთ იყო ჩვენი ასზე მეტი სპორტსმენი. ამ გამოსვლებს ჩვენ მხოლოდ შეჯიბრებათა ტექნიკური შედეგების თვალსაზრისით როდი ვაფასებთ. ამას უდავოდ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. ქართველი სპორტსმენები, რომლებიც წარმატებით იცავენ საბჭოთა სპორტის ღირსებას საერთაშორისო შეჯიბრებებში სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში, როგორც წესი, დიდი ოსტატობისა და სანიმუშო დისციპლინის მაგალითს იძლევიან როგორც ასპარეზზე, ისე ცხოვრებაში.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში გეგმებისა და ვალდებულებების წარპატებით შესრულებისათვის სპორტკავშირის ცენტრალურმა საბჭომ შვიდი წლის განმავლობაში ზედიზედ დაჯილდოვა ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაცია გარდამავალი წითელი დროშით და საპატიო სიგელით. საუკეთესო მაჩვენებლებისათვის გარდამავალი წითელი დროშა და საპატიო სიგელი არაერთხელ დაუმსახურებიათ თბილისის და ქუთაისის სპორტკავშირის საქალაქო საბჭოებს, აგრეთვე ნებაყოფლობით სახპორტო საზოგადოებებს „კოლმეურნეს“, „დინამოს“, „ბურევესტნიკს“, „განთიადს“, „სპარტაკს“, „შრომით რეზერვებს“.

როგორც აღვნიშნე, წინა სამ სპარტაკიადაზე საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ მეხუთე საპრიზო ადგილი დაიკავა და სამჯერ მოიპოვა საპატიო პრიზი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი თასი. ახლა საქართველოს სპორტული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა წარმატებით მოემზადოს საბჭოთა სპორტსმენების ამ გრანდიოზული ფორუმისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის დ. ბ. სტურუშას მეთაურობით. საორგანიზაციო კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია და ახლაც ყოველდღიურად გვეხმარება.

1966 წლის იანვარში სპორტსმენებთან და მწვრთნელებით დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრები გუნდები სპორტის ყველა სახეობაში როგორც მოზრდილთა, ისე მოსწავლეთა შორის. ნაკრებ გუნდებს მიმაგრებული ჰყავთ პასუხისმგებელი ხელმძღვანელი მუშაკები, აგრეთვე კომორგები საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისაგან.

ეჰვგარეშეა სხვა რესპუბლიკებიც განსაკუთრებული მონდომებით ემზადებიან საიუბილეო სპარტაკიადისათვის. თვითეული კოლექტივი, თვითეული სპორტული დელეგაცია შეეცდება აჩვენოს 50 წლის მუშაობის შედეგები.

დიახ! ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა. საქართველოს სპორტული დელეგაცია ღირსეულად უნდა შეხვდეს მომავალ გამოცდას — სსრ კავშირის ხალხთა მეოთხე საიუბილეო სპარტაკიადას, რომელიც მიძღვნილია საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისადმი.

**გ. სიხარულიძე,**
საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარე.

# დიდი სტარტის წინ

### საქართველოს სპორტსმენები ემზადებიან სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისათვის



ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი სპორტსმენები წარმატებით გამოდიან საკავშირო და საერთაშორისო შეხვედრებში. ამ სურათებზე (ზემოდან) თქვენ ხედავთ ჩოგბურთელ რ. აბაშაძეს ერთ-ერთი მატჩის დროს; ტანმოვარჯიშე დ. ჯანუაშვილი ასრულებს თავისუფალ ვარჯიშს; მოწინააღმდეგის კარზე იერიშს მიაქვს წყალბურთელ ბ. ჩიქვანაია.

ფოტოები
მ. ზარგარიანისა.

# დღესასწაული სტადიონზე

უეძმნილი ტრადიციით სპარტაკიადის გახსნა ყოველთვის დიდი სახალხო დღესასწაულია. მოზეიმე ახალგაზრდობა ამ დღესასწაულზე უჩვენებს თავის ოსტატობას, მზადყოფნას სპორტულ მღწევათა სრულყოფისათვის.

დღესასწაული თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე 19 საათზე დაიწყება.

დიდი ადგილი ექნება დათმობილი მასობრივ გამოსვლებს, საჩვენებელ ასპარეზობებს. მაყურებლები მოედანზე ნახავენ ლამაზ ვარჯიშს ნაირფერი მარაოებით, რომლის ფინალი იქნება სტადიონის ცენტრსა და ოთხივე კუთხიდან დიდი საჰაერო ბურთების აშვება წარწერით — IV, რაც გვამცნობს მეოთხე საიუბილეო სპარტაკიადის ზეიმს. აღმოსავლეთ ტრიბუნაზე კი აკიაფდება ციფრი — 1967, მაუწყებელი საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისა.

მოტოციკლისტთა ესკორტით ცენტრალური ტრიბუნის წინ ჩაატარებენ სსრ კავშირის დროშასა და სახელმწიფო გერბს, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების დროშებსა და გერბებს. დიდი ადგილი დაეთმობა „შრომითი რეზერვების“ სპორტსმენთა მასობრივ ვარჯიშს, ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენთა ტანვარჯიშულ იარაღებზე გამოსვლას, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა ვარჯიშს.

მეტად ეფექტური იქნება ფინალი. სტადიონის ცენტრში ბენგალური ცეცხლით აინთება მრავალსართულიანი ვაზა. ცოცხალ ადამიანთა მიერ გამოისახება ციფრი 50, მაღლა ჰაერში აიჭრება დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის პორტრეტი განთავსებული პროჟექტორებით. დაიწყება ფეიერვერკი.

# საღ და რთული შეჯიბრების კალენდარი

**საქართველოს** საიუბილეო სპარტაკიადა სპორტის 24 სახეობას მოიცავს. ზოგიერთ მათგანში ჩემპიონები ცნობილია.

სპარტაკიადის გახსნის დღეს ასპარეზობაში ჩაებმებიან: **კალათბურთელები, კლასიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდავეები, ველოსიპედისტები ტრეკზე, წყალბურთელები, ქართული მოჭიდავეები, აკადემიური ნიჩბოსნები, მძლეოსნები, წყალში მხტომელები, სასტენდო მსროლელები, ძალოსნები.**

**კალათბურთელებს** ბაქერობა ექნებათ ციროვის სახელობის პარკში 11-დან 14 ივნისამდე; **თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობას** დაეთმობა სამი დღე სპორტის სასახლეში; **ქართულ ჭიდაობაში** შეჯიბრება გაიმართება „ლოკომოტივის“ სპორტულ დარბაზში (11-13 ივნისი); **ველოსიპედისტები** ტრეკზე ერთმანეთს პირველობას შეეცილებიან თბილისის ველოსტადიონზე (11-13), ჩემპიონის გამოსაცალისებლად სამი დღე დასჭირდებათ **წყალბურთელებს** თბილისის ზამთრის საცურავ აუზში; **აკადემიური ნიჩბოსნები** შეჯიბრებას ერთ დღეში (11 ივნისს) დაამთავრებენ სიონის ნიჩბოსნობის ბაზაზე.

11-დან 14 ივნისამდე სპორტის მოყვარულები „დინამოს“ სტადიონზე იხილავენ ჩვენი რესპუბლიკის უძლიერეს **მძლეოსანთა** ასპარეზობას; **მცურავთა შეჯიბრება,** რომელიც 9 ივნისს დაიწყო, დამთავრდება 13-ში ზამთრის საცურავ აუზში; **წყალში მხტომელებს** 11-დან 13 ივნისამდე შეჯიბრება ექნებათ „განთიადის“ საცურავ აუზში; **თანამედროვე ხუთჭიდელები** ჩემპიონს გამოავლენენ სპარტაკიადის გახსნის დღეს; **ტყვიის მსროლელები** 13 ივნისამდე განაგრძობენ ბრძოლას ავჭალის სასროლეთზე; 4 დღეა განკუთვნილი **სასტენდო სროლისათვის.** შეჯიბრება ჩატარდება მონადირეთა კავშირის სტენდზე. **ჩოგბურთელები** პირად შეჯიბრებას „დინამოს“ კორტებზე დაამთავრებენ 12 ივნისს; **ძალოსნებს** ბაქერობა ექნებათ „დინამოს“ სტადიონის კალათბურთის დარბაზში 11-დან 13 ივნისამდე; **მოფარიკავეები** ფიზკულტურის ინსტიტუტის დარბაზში ბრძოლას 12 ივნისს დაამთავრებენ. ამავე დღეს რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში ფინიში ექნებათ **მოჭადრაკეებს.**

# სატურნირო ორბიტა

□ **დიდი** სიურპრიზი — ასე შეიძლება ვუწოდოთ მონტევიდეოში იუგოსლავიისა და ურუგვაის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების მატჩის შედეგს კალათბურთში მსოფლიოს პირველობაზე. ერთი ქულის სხვაობით (58:57) გაიმარჯვეს ურუგვაელებმა. ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელებმა მოუგეს პოლონეთის გუნდს 96:61. ამრიგად, ლიდერებს სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და იუგოსლავიის გუნდებს თითო დამარცხება აქვთ. ჩემპიონობის საკითხს გადაწყვეტს უკანასკნელი მატჩები სსრ კავშირ-იუგოსლავიისა და ბრაზილია-ამერიკის შეერთებული შტატების გუნდებს შორის.

□ **დღეს** მოსკოვში ფეხბურთის დიდი მატჩია. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ევროპის პირველობის შესარჩევი მატჩი ექნებათ სსრ კავშირისა და ავსტრიის გუნდებს. ავსტრიის ნაკრები ძირითადად ახალგაზრდა ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. გუნდის ერთ-ერთმა მწვრთნელმა ჰანს პეტერმა განაცხადა: „შევეცდებით მოსკოველებს ვუჩვენოთ კარგი ფეხბურთი. რა თქმა უნდა, გაგვეჭირდება მასპინძელთა დამარცხება, ამიტომ ფრეზეც თანახმა ვართ“. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობას შეუერთდნენ **მ. ხურცილავა** და **ე. მალოფეევი.**

□ მოსკოვის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე 10 ივნისამდე გაიმართა 13 ტური. გადადებული პარტიების დამთავრებისას ბრძოლის განუახლებლად ბეიროშეი დანებდა სმისლოვს, ნაიდორფი—სპასკის, ხოლო ტალ-ნაიდორფისა და ბელორბრონშტეინის პარტიებში ყაიმი აღინიშნა. გიასლისმა დაამარცხა ბლეგორიჩი; ულმან-ბელორისა და ტალ-ბელორის პარტიები ყაიმით დამთავრდა. ლიდერს ლ. შტეინს 8,5 ქულა აქვს, დ. ბრონშტეინსა და ა. გიასლისს — რვა-რვა ქულა, მ. ბოტვინოვს, ლ. პორტიშს, ვ. სმისლოვს, ბ. სპასკისს და მ. ტალს — შვიდ-ნახევარ-შვიდნახევარი ქულა.

□ **ლენინგრადის** საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გაიმართა თხუთმეტი ტური. გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ ერთპიროვნული ლიდერი გახდა **ვ. პოტიხინი,** რომელსაც 12 ქულა აქვს. ლიდერს ერთი ქულით ჩამორჩება **რ. ხოლმოვი.** **ვ. ბარცას** 9,5 ქულა აქვს.

# ლაპარაკობენ სპორტსმენები

## გულით — თქვენთან

**ალექსანდრე მეტრეველი,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის ჩემპიონი ჩოგბურთში

**სპორტსმენს** შეჯიბრებაში დამარცხება უფრო ამახსოვრდება, ვიდრე გამარჯვება, რადგან წარუმატებლობა ორმაგად ზრდის საკუთარი თავისადმი მოთხოვნას. ამასთან რევანში უფრო აგრესიულს ხდის მოთამაშეს. შეიძლება ესეც იყო **თ. ლეიუსთან** ჩემი შემდგომი დაძაბული ბრძოლებისა და გამარჯვების ერთ-ერთი მიზეზი. ხალხთა მესამე სპარტაკიადიდან იწყება ჩემი მონაწილეობა დიდ ასპარეზობებში. სწორედ ამ შეჯიბრებაში დამამარცხა პირველად **ლეიუსმა** ფინალურ ბრძოლაში. მეოთხე სპარტაკიადაშიც **ვ. ეგოროვისა** და **ს. ლიხაჩოვის** გარდა იგი კვლავაც რჩება ჩემს ძირითად მეტოქედ.

მართალია, საქართველოს სპარტაკიადაში მონაწილეობას ვერ მივიღებ, რადგან დევნის თასის გათამაშებაში ჯერ კიდევ მოგველის მკაცრი ბრძოლები, მაგრამ გულით ჩემს თანაგუნდელებთან ვიქნები. ხალხთა სპარტაკიადის დაწყებამდე კი საბჭოთა ჩოგბურთელებს ბევრი საინტერესო ბრძოლა მოგველის. სულ მალე ნაკრების წევრები გავემგზავრებით ინგლისში, სადაც მონაწილეობას მივიღებთ ბეკენჰემის, კუინსკლაბისა და უიმბლდონის ტრადიციულ ტურნირებში, შემდეგ კი სამშობლოში სპარტაკიადაზე.

## მიფანი — ჩემპიონობა

**გურამ სალარაძე,**
მსოფლიოს ორგზის და სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში

**ჩვენმა** მოჭიდავეებმა მონდომებით დაიწყეს მზადება საქართველოს სპარტაკიადისათვის. პასუხისმგებლობის გრძნობა მით უფრო მეტი იყო, რომ ვიცოდით ეს ასპარეზობა ძალთა კიდევ ერთი შემოწმება იქნებოდა სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადის წინ. მაგრამ გამორკვა, რომ მე და კიდევ რამდენიმე ჩემი თანაგუნდელი მონაწილეობას ვერ მივიღებთ ასპარეზობაში, რადგან სულ მალე მოგველის გამოსვლა ევროპის პირველობაზე. მართალია, **ზ. ბერიაშვილის, შ. ლომაძის, ნ. ხოხაშვილისა** და სხვათა არყოფნა გავლენას მოახდენს თბილისის გუნდის შედეგებზე, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ძირითად მოწინააღმდეგეებს — ქუთაისელ და ბათუმელ მოჭიდავეებს თავიანთ ოსტატობას უჩვენებენ **თ. ასლამაზაშვილი, ნ. მოსაშვილი, ს. ქარსაულიძე.** ასე რომ გულშემატკივრები არანაკლებ საინტერესო ბრძოლების მოწმენი იქნებიან.

რაც შეეხება სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადას, აქ საქართველოს მოჭიდავეებს სახელოვანი ტრადიციები აქვთ. ჩვენი სურვილია ძველოთ ძველ მეტოქეებს — რსფსრ-ის, უკრაინისა და ბელორუსიის მოჭიდავეებს და სპარტაკიადის ჩემპიონობა მოვიპოვოთ.

## ციფრები, ფაქტები

△ **როგორც** რესპუბლიკურ, ისე სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე პირველად მიიღებენ მონაწილეობას სპორტის ტექნიკურ სახეობათა წარმომადგენლები. თუ სპარტაკიადის ყველა სახეობას ჩამოვთვლით მათი, რიცხვი 41-ს შეადგენს.

△ **გასული** სპარტაკიადის ფინალში მონაწილეობდა 10.350 სპორტსმენი — 70 ეროვნების წარმომადგენლები. თითქმის ნახევარი სპორტის ოსტატები იყო.

△ **საქართველოს** სპორტსმენები მრავალი რეკორდის ავტორები არიან. მარტო შარშან მათ დაამყარეს 120 საკავშირო და რესპუბლიკური რეკორდი. ჩვენი სამოცზე მეტი სპორტსმენი სსრ კავშირის ნაკრები გუნდების წევრია.



**სურათებზე:** მარცხნიდან — დაბრკოლებათა გადალახვა ცხენოსნობაში და 80 მეტრზე თარჯრბენის ერთ-ერთი მომენტი ქალთათვის.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## დღეები და შედეგები

სპარტაკიადის საზეიმო გახსნამდე სპორტის რვა სახეობაში უკვე დამთავრდა შეჯიბრება, გუნდებმა სტურნირო ცხრილში სათანადო ქულები ჩაიწერეს. ეს სახეებია: კრივი, საგზატკეცილო ველოსიპედი, ფრენბურთი, სპორტული ტანვარჯიში, ნიჩბოსნობა ბაიდარებით და ჯაოუთი, ცხენოსნობა, გუნდური შეჯიბრება ჩოგბურთში, აეროსნობა.

აქ ჩამოთვლილ სახეობებში წარმატება თბილისელებს ხვდათ და 90 ქულით ლიდერები არიან. მეორე ადგილზეა აფხაზეთის გუნდი — 69,5 ქულა, მესამეზე — აჭარის სპორტსმენთა კოლექტივი — 62,5 ქულა.

რესპუბლიკური სპარტაკიადა სპორტის 24 სახეობას მოიცავს. მონაწილეობენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების — თბილისის, ქუთაისის, ფოთის, რუსთავის, ჭიათურის, გორისა და ტყიბულის გუნდები.

## ლონდონის საერთაშორისო...

**ლონდონში** მიმდინარეობს დიდი საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში. მორიგ ტურში სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის გუნდი 9:3, იუგოსლავიის წყალბურთელებმა — შვეიცარის ნაკრები 8:3. ჯერჯერობით დაუმარცხებლად იბრძვიან სსრ კავშირისა და იუგოსლავიის წყალბურთელები.

## ჩაბ ვიცინოთ, ჩაბ ეოვისქერეთ

### ტელევიზია

**11 ივნისი**

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „ზამთრის ღილა“ (ქართული ვარიანტი), 12.30—კონცერტი მოსწავლეთათვის, 13.20 —„ხეთწლედის პირმშონი“ — მსუბუქი მრეწველობის მუშაკის დღისადმი მიძღვნილი გადაცემა, 13.45 — „მუსიკალური შუქურა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.00 — საქართველოს კვირეული მოსკოვში „რეპორტაჟი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენიდან (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.50 — გადაცემათა პროგრამა), 16.55 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — გახსოვდეთ მათი სახელები, 17.25 — დოკუმენტური ფილმი „ფარდა არ ეშვება“ (ქართულ ენაზე). 18.20 — საკვირაო-გასართობი პროგრამა, 19.00 — გადაცემა — „გამოჩენილი იტალიელი მსახიობი ტოტო“, 19.50 — გადაცემათა პროგრამა 12 ივნისისათვის, 19.55 — ევროპის პირველობა ფეხბურთში — საბჭოთა კავშირი—ავსტრია (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.45 — საქართველოს კვირეული მოსკოვში (გადმოცემა მოსკოვიდან).

**12 ივნისი**

09.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში. 10.40 — მხატვრული ფილმი „ძიას სიზმარი“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — საქართველოს კვირეული მოსკოვში — „ინდუსტრიული საქართველო“ (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 18.30 — ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ, 18.50 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „სიბავშვის სიმღერების კრებული“, 19.25 — განცხადებები. 19.30 — კინონარკვევი. 19.50 — დიადი თარიღის შესახვედრად — „კავკასიონის კალთებზე“. 20.05 — კინონარკვევი, 20.35 — ლიტერატურული გადაცემა „ჩვენი წიგნის თარო“ 21.05 — კინონარკვევი. 21.15 — გადაცემა „რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თეიმურაზ ხილაშვილი“. 21.45 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.05 — მხატვრული ფილმი „ძიას სიზმარი“.

**მეორე არხით** — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი დღისით 12 საათიდან, საღამოს 16 ს. 15 წ.


**რედაქტორი**
**დ. მჭედლიშვილი.**

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 8-22-93, ეროვნულობის — 8-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 9-73-24 ილუსტრაციის — 8-28-54, განცხადებების — 8-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТ ИНДЕКС 66443 УЭ 03275 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.